

აღვიარებ თუ ვაღვიარებ? აღვიარე თუ ვაღვიარე? აღვიარებო თუ მიღვიარებო?

აღვიარებს (აღვიარებ, აღვიარებ) ზნაში აღ პრევერბია: აღვიარებ (აღვიარებ), აღვიარებ (აღვიარებ), აღვიარებს (აღვიარებს, აღვიარებს); აღვიარებდი (აღვიარებდი), აღვიარებდი (აღვიარებდი), აღვიარებდა (აღვიარებდა, აღვიარებდა): აღვიარებდე (აღვიარებდე), აღვიარებდე (აღვიარებდე), აღვიარებდეს (აღვიარებდეს, აღვიარებდეს); აღვიარე (აღვიარე), აღვიარე (აღვიარე), აღვიარა (აღვიარა, აღვიარა); აღვიარო (აღვიარო), აღვიარო (აღვიარო), აღვიაროს (აღვიაროს, აღვიაროს); აღვიარებია (აღვიარებია), აღვიარებია (აღვიარებია), აღვიარებია (აღვიარებია); აღვიარებო (აღვიარებო), აღვიარებო (აღვიარებო), აღვიარებო (აღვიარებო); აღვიარებინა (აღვიარებინა), აღვიარებინა (აღვიარებინა), აღვიარებინა (აღვიარებინა); აღვიარებინო (აღვიარებინო), აღვიარებინო (აღვიარებინო), აღვიარებინო (აღვიარებინო).

მაგალითები ძველი ქართულიდან:

მეცა აღვიარო იგი (მ 10, 32).

რომელმან აღვიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა (მ 10, 32).

აღვიარებ შენ მამათ (ლ 10, 21).

აღვიარე ვინმე-იაროს იგი (ი 9, 22).

უკეთ აღვიარე-იაროს იგი (ი 9, 22).

მაგალითები XVIII საუკუნის ენიდან:

მრწამს და აღვიარებ, ვღებო თუ ვიარებ, უგალობებ მე მას (დ. გურამ.).

გამდა მოძღვართან შენ აღვიარა, წირვა-ლოცვაზედ საყდარს გეარა (დ. გურამ.).

მაგრამ შემდგომ აღ პრევერბის დ თანხმობანი ფუძეს შეეხორცა, ფუძისეულად იქნა გაგებული. ამის გამოა, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდება ისეთი ფორმებიც, როგორიცაა: ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ, ვაღვიარებ... ვაღვიარებია, ვაღვიარებია, ვაღვიარებია და მისთ.

მეორე მხრით, გვხვდება ნარევი ფორმებიც: ვაღვიარებ, აღვიარებ (შენ), აღვიარებს... ვაღვიარებია, აღვიარებია, ვაღვიარებინა და მისთ.

ინტერესს მოკლებული არაა, რომ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში შეტანილია მასდარი აღვიარება, ამ სახითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმები უნდა იხმარებოდეს—აღვიარებ, ვაღვიარებ თუ ვაღვიარებ—უკვე XIX საუკუნეში დაისვა. 1880 წ. დი. ყიფიანი მიუთითებდა, რომ სალიტერატურო ენაში უპარტებულოდ ხმარობენ ვაღვიარებ, აღვიარებს, აღვიარებია ფორმებს და რომ სწორი ფორმებია აღვიარებ, აღვიარებს („ივერია“, 1880, № 1). დი. ყიფიანის გრამატიკაში სპეციალურადაა შეტანილი ამ ზნის უღვლილების პარადიგმები. იქ ამ ზნის ფორმები წარმოდგენილია ძველი ქართულის ნორმების თანახმად.

უფრო გვიან, ოთხმოცდაათიანი წლების პრესაში, აღვიარებ თუ ვაღვიარებ ფორმების თაობაზე დისკუსია გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ა. წერეთ-

თელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. ხუნდაძემ, გ. წერეთელმა, კ. დოდაშვილმა და სხვებმა. ა. წერეთელს უხეშ შეცდომად მიაჩნდა ი. გოგებაშვილის მოთხოვნაში ნახმარი ფორმა **გალიარებ**. ი. გოგებაშვილი ამ უკანასკნელ ფორმას იცავდა. მისი მტკიცებით, ახალი ფორმები — **ვალაირებ**, **გალიარებ** იმის შედეგია, რომ პრევერბი ზმნის ფუძეს შეუხორცდა. ი. გოგებაშვილს ეს ფაქტი სავსებით გამართლებულად მიაჩნია ენის განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე ი. გოგებაშვილი ამ ფორმებს უპირატესობას აძლევდა მათი გავრცელებულობის გამო. აკაკისთან კამათისას იგი ვახაზავდა, რომ ეს ახალი ფორმები უკვე გავრცელებულია ხალხში: „სრულიად სხვანაირად ფიქრობს მთელი აღმოსავლეთის საქართველო (და იქნება ბევრნი დასავლეთ საქართველოშიც) ... იგინი ამბობენ და წერენ: ვალიარე, ვალიარებ, ვალიარეთ, მალიარებ, მალიარებ, ვალიარო, მალიარო, მალიაროს, მალიარე, ვალიარებდი, მალიარებდა“ („პასუხი ბ-ნს აკაკის“, „ივერია“, 1894, № 170). სხვა წერილში („პასუხი „კვალის“ რაზმსა“, „ივერია“, 1894, № 207, 208) ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ **ვალაირე**, **გალიარო**, **მალიარო** ფორმებს ხმარობენ და იცავენ ანტ. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, მიხ. ყიფიანი და სხვები, რომ ეს ფორმები დასავლეთ საქართველოშია (გურიაში, იმერეთშიც) საკმაოდ გავრცელებულია, და იმოწმებდა იქაურ მკვიდრთ.

ა. წერეთელი და „კვალის“ თანამშრომლები, განსაკუთრებით ს. ხუნდაძე, **აღვიარებ** ფორმას იცავდნენ.

XIX საუკუნის მწერალთაგან **აღვიარებ** და მისთ. ფორმები წაროდგენილია ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ენაში, გვხვდება ე. ნინოშვილისა და ა. ყაზბეგის ნაწერებშიც და ი. მაჩაბლის თარგმანებშიც.

ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ, საიღამაე უნდა იყოს ეგ შემთხედობა წარმოდგარი, მაინც-და-მაინც იგი ცხოვრების წინ წადგომა... (ილია).

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე და დღე საზოგადოება აკლდება (ილია).

არც იტალიის გავრთებას აღვიარებთ, არც მის მეფესაო (ილია).

ა. წერეთელი იცავდა **აღვიარებ** ტიპის წარმოებებს და მის ნაწერებში მართლ ასეთი ფორმები გვხვდება:

...მრწამს და აღვიარებ, რომ მომავალი ქრისტიანობისა.

ეგება რჯული გიშლიდეს, მე აღვიარებ შენს რჯულსა.

ამ შემთხვევაში კი მხიარულად მართლის გულით აღვიარებ.

მე კი ჩემდა თავად რჯულად მიმაჩნდა და სარწმუნოებად აღვიარებ დი.

მაინც არ აღვიარებ შავს თეთრად და თეთრს შავად.

მოახსენა: „რას მიბრძანებ? აღვიარებ სიმართლესო“.

აღვიარებ ე. ნინოშვილის ნაწერებში:

ამ შემთხვევაში მე ვალად მიღვეს, რაც შემიძლია, რასაც მივხედები, პირუთვნელად აღვიარო.

მართალია, არის კი ისეთი შემთხვევები, მარა ეს კანონად არ შეიძლება აღვიაროთ.

თურმეობითის ფორმებშიაც ამგვარივე წარმოება გვხვდება:

ოქრუამ... გადსწყვიტა, — ყოველივე სიმართლით აღვიარებინა და აღვიარაკიდევ.

...თავადი... და მისი მეუღლე ჯერ ვერ ბედავდნენ, რომ გიგო ცხადთ თავის მემკვიდრეთ აღვიარებინათ.

ეგნ. ნინოშვილის ნაწერები, როგორც ცნობილია, სწორდებოდა რედაქტორების მიერ. ამ შემთხვევაშიც „კვალის“ რედაქტორის ხელი ჩანს.

ა. ყაზბეგთან გვხვდება თურმეობითის ფორმით:

გირჩევდით კი, რომ გულ-წრფელად ყოველისფერი აღვიარათ...

ი. მაჩაბლის თარგმანებში:

...უნდა აღვიარო, რომ მეც სავე ვარ იმავ სისუსტით, რაიც მთელ ჩემს სქესს სჭირს.
აღვიარებ, რომ თავაზითა ჩვენვე ხელს ვუწყობთ ღვარძლს შფოთის და აჯანყებისას...

რაც შეეხება ვაღიარებ ფორმას, იგი გვხვდება ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავის, თ. რაზიკაშვილის ნაწერებში.

ღვთის წინაშე ვაღვიარებ, საყაჩაღო კაცი არ ვიყავი (ილია).
...ის-კი უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს რამდენიმე ძალა ზოგჯერ ერთმანეთს ხელს არ უწყობენ (ილია).
...მკვლელობა ვაღვიარებ და თქვენც დამინახეთ, უჩინარ იქნა დედაკაცი თვალთაგან ჩემთა (ი. გოგებ.).
მეფერი ამპარტავენება ნებას არ აძლევდა ლაშას კანონიერ მეუღლედ და საქართველოს დედოფლად ეღვიარებინა იგი (ი. გოგებ.).
გათამამებული მამლაყინწა ეხლა სხვას ეძებდა, რომ იმასაც ეღვიარებინა იმისა უპირატესობა და ბატონობა (თ. რაზიკ.).

ია ეკალაძის, ვ. ბარნოვისა და ქ. ლომთათიძის ნაწერებშიც ვაღიარებ, ვაღიარო ფორმები დასტურდება.

აღარ მახსოვს... ვაღვიარებ ჩემი თავი მანქანათ თუ არა... (ია ეკალ.).
ურთგო არ იქნება ვაღვიარო ყველაფერი (ია ეკალ.).
უნდა ვაღვიარო ცოდვები (ვ. ხარნ.).
ძედ ღვთისად და მესიად არ ეღვიარებინა თავი (ვ. ხარნ.).
ღიახ... დანაშაულია, ვაღვიარებ აშკარად და საქვეყნოდ (ქ. ლომთ.).
ნება მიბრძეთ ვაღვიარო საქვეყნოდ... (ქ. ლომთ.).

ნარევი ვაღვიარებ, აღვიარებ ფორმები ხშირი იყო გასული საუკუნის პრესის ენაში.

საქართველოს ეკლესია მის სიწმინდეს აღვიარებდა („ივერია“, 1889, № 9).
ეჭიბება აღვიარეს იგი სრულებით უიმედოთ („თეატრი“, 1887, № 1).

ქართველ მწერალთაგან ამ ფორმებს ხმარობდნენ ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი; გვხვდება ეს ფორმები ი. გოგებაშვილის ნაწერებშიც, თუქცა ი. გოგებაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ვაღიარებ ფორმას იცავდა.

ჩვენ თავმოწონებით ვაღვიარებთ, რომ ღირსებად უნდა ჩაგვეთვალოს ამდენ დაბრკოლებებთან სასოწარჟვეთელობა (ილია).
აგტორი... უარყოფს შუა წერილში მას, რასაც ჭეშმარიტებად აღვიარებ სწერილის თავში (ი. გოგებ.).
სცხვენოდა, გულის პასუხი ეღვიარებინა (ვაჟა).
ნინოშ აღსარება აღვიარა და წმინდა საიდუმლო მიიღო (რ. ერისთ.).
თუ თქვენ არ აღვიარებთ და უიმისოთ დაგიმტკიცდათ დანაშაული, მაშინ კანონი უმძიმესი გაგიჩნდებათ (რ. ერისთ.).

აღსანიშნავია, რომ ილიასთან ღვიარება მასდარი გვხვდება:

ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიმარავს (ილია).
ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა (ილია).

ამნაირად, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში სამი ფორმაა წმოდგენილი: აღვიარებ, ვაღვიარებ და ვაღიარებ.

ი. ჭავჭავაძის ენაში სამივე ფორმა დასტურდება. აღვიარებ ფორმას ხმარობდნენ ა. წერეთელი და ე. ნინოშვილი, ამავე ფორმას იცავდნენ ქურნალ „ეკალის“ თანამშრომლები ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი კ. ლოდაშვილი. იგივე ფორმაა წარ-

მოდგენილი დ. ყიფიანის გრამატიკაშიც. მხოლოდ ვაღიარებ ფორმას ხმარობენ
ი. გოგებაშვილი, თ. რაზიკაშვილი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებული ფორმებია ვა-
ღიარებ, ვაღიარე და ა. შ., ე. ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც პრეგერბის თანხ-
მოვანი ფუძესაა შეზრდილი. ასეთი ფორმებია წარმოდგენილი მ. ჯავახიშვილის,
ლ. ქიაჩელის, შ. დადიანის, რ. გვეტაძისა და სხვათა ნაწერებში.

ვ ა ღ ი ა რ ე ბ თ... ვძარცვავდით, ვჭურღობდით... ვზოცავდით... დაგვსაქე, შეგვი-
რიგე (მ. ჯავახ.).

სცხვენოდა, ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, თუ როგორ გააბრიყვა ის უცნობმა ქალმა (მ. ჯავახ.).

მე ვ ა ღ ი ა რ ე და ახლაც ვ ა ღ ი ა რ ე ბ, რომ მე მოკალი ვოლკოვი (შ. დად.).

აქვე უნდა ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ნამდვილი გვარებით ხსენებულ პართა ცხოვრების

ასე საქვეყნოდ გამოშეურება ჩემი მხრით უთუოდ კადნიერებაა (რ. გვეტ.).

მე ვ ა ღ ი ა რ ე ბ უწმინდეს ვალად, შენ საუნჯეებს რომ ვეზიარე (ვ. გაფრ.).

როგორც კი ვ ა ღ ი ა რ ე დანაშაული, სული გამიწმინდა (ო. დგებ.).

მე ხომ ვაღიარე დანაშაული... სხვა რაღა გინდათ ჩემგან? (ო. დგებ.).

ეგვეე ფორმებია დამკვიდრებული პრესის ენაში.

უნდა ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ჩვენმა რევოლუციონერმა ახალგაზრდობამ ამ საქმეში
განსაკუთრებული როლი შეასრულა („ქომ.“).

იძულებული გახდა ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, რომ ორმოცი დიდი ბომბების აფეთქების შე-
დეგი იყო („ქომ.“).

მაშასადამე, მოგვიხდება ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გა-
კეთდეს („ქომ.“).

ამას წინათ დაღესი იძულებული იყო ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, რომ არაბთა ქვეყნებში
„ეიზენშაუერის დოქტრინაზე“ გამოხმაურება ხელსაყრელი არ არის („ქომ.“).

აღვიარებ და მისთ. ფორმები პრესის ენაში აღარ გვხვდება.

თანამედროვე მწერლებიდან მხოლოდ კ. გამსახურდია ხმარობს აღვიარებს,
აღვიარა, აღვიარე ფორმებს.

...და უნდა ა ღ ვ ი ა რ მიინც („ქობა გაბუ“).

იმ დამესვე აღსარების ნება სთხოვა მეღქმისდეკს და ა ღ ვ ი ა რ ა თავისი და ჭიანჭ-
რის თანაზიარობა ფხოველთ ამბოხში („დიდოსტატის მარჯვენა“).

მეღქმისდეკი აფრთხილებდა ყველას... თავად ე ღ ვ ი ა რ ე ბ ი ნ ა თ დანაშაული
 („დიდოსტატის მარჯვენა“).

არც ერთ მათგანს არ უნდოდა ეს აშკარად ე ღ ვ ი ა რ ე ბ ი ნ ა... („ვაზის ყვავილობა“).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში პრეგერბისეული ღ თანხმო-
ვანი უკვე შეზრდილია ფუძეს, ვაღიარებ, ვაღიარე ფორმები უკვე დამკვიდრებუ-
ლია და იმდენად ბუნებრივია, რომ გრამატიკულად და ისტორიულად სწორი
წარმოების ფორმები აღვიარებ, აღვიარე დღეს ხელოვნურად გვეჩვენება. ამის
ადასტურებს მასდარისა და მიმლეობის წარმოება: ფორმებმა აღვიარება, მაღი-
არებელი, ახაღვიარებელი საბოლოოდ გამოდევნა ძველი აღსარება, აღსარებულნი
და მისთ.

მაგალითად:

იგი განუშორებელი თვისებაა რუსის თვითმპყრობელი ხელისუფლების მ ა ღ ი ა რ ე-
ბ ე ლ ი ს ა (დ. კლდ.).

რა უშლის ხელს მორგანისეული გენეტიკის მ ა ღ ი ა რ ე ბ ე ლ ადმიანებს გიგონ
გადაჭვარდინების სარგებლიანობა და თვითდამტერვის მავნებობა? („აგრობიოლო-
გია“, თარგმ.).

ამის გამო, ვაღიარებ, ვაღიარე-ს რივის ფორმები ერთადერთ ფორმებად უნ-
და იქნეს მიჩნეული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ამის მიხედვით ამ ზმნის საუღვლებელი ერთეულები ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს ამ სახით წარმოვიდგება:

ვაღიარებ (ვაღიარებ), აღიარებ (მაღიარებ), აღიარებს (მაღიარებს, ვაღიარებს);

ვაღიარებდი (ვაღიარებდი), აღიარებდი (მაღიარებდი), აღიარებდა (მაღიარებდა, ვაღიარებდა);

ვაღიარებდე (ვაღიარებდე), აღიარებდე (მაღიარებდე), აღიარებდეს (მაღიარებდეს, ვაღიარებდეს);

ვაღიარე (ვაღიარე), აღიარე (მაღიარე), აღიარა (მაღიარა, ვაღიარა);

ვაღიარო (ვაღიარო), აღიარო (მაღიარო), აღიაროს (მაღიაროს, ვაღიაროს);

მიღიარებია (მიღიარებინა), გიღიარებია (გიღიარებინა), უღიარებია (უღიარებინა, უღიარებინა);

მეღიარებინა (მეღიარებინე), გეღიარებინა (გეღიარებინე);

ელღიარებინა (ვეღიარებინე, ეღიარებინე);

მეღიარებინოს (მეღიარებინო), გეღიარებინოს (გეღიარებინო);

ელღიარებინოს (ვეღიარებინო, ეღიარებინო).

მასდარი: აღიარება.

მიძლეობა: მაღიარებელი, აღიარებული, საღიარებელი, ნაღიარები.